ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №282202

ნომერი: AR167825

თარიღი : 20.07.2012

გაცემის თარიღი : 26.07.2012

გაცნობის თარიღი : 31.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 112 , ნაკვ.5/26) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ოლეგი ახობაძე პ/ნ 01002004907
- თბილისი გლდანი V მ/რ კორ. 21 ბ. 37

ორგანიზაცია:
- ნოე+ კოდი: 202463262

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, ცეცხლმედეგი გამმიჯნავის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის, მოწყობა ან დემონტაჟი

  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

  კორექტირება
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ფოტომონტაჟის მიხედვით ეწრობა ასევე სარეკლამო აბრებიც, რაც არ არის მითითებული მოთხოვნის ტექსტში და არ არის თქვენს მიერ არჩეულ ნომენკლატურაშიც, შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები არ შეესაბამება არჩეულ ნომენკლატურას, კერძოდ ნომენკლატურის თანახმად საკითხი ეხება "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი– კორექტირება"–ს, "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი-კორექტირება"-ს და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება- კორექტირება"-ს, თუმცა ასევე ხდება სარეკლამო აბრების მოწყობასაც და ასევე ვინაიდან კორექტირება ითვალისწინებს ფასადის შეღებვას და ჟალუზის მოწყობას, რაც შეთანხმებული პროექტით არ იყო გათვალისწინებული, ნომენკლატურაში "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი–კორექტირება"–სთან ერთად უნდა აირჩიოთ "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი-რეკონსტრუქცია"; "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება- რეკონსტრუქცია" და "აბრებისა და რეკლამების განთავსება".

გარდა ამისა, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ჟალუზის მოწყობა. შესაძლებელია მოეწყოს დეკორატიული ჟალუზი მხოლოდ ღიობის შიდა სივრცეში, შესაბამისად წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი, სადაც გათვალისწინებული იქნება სამსახურის რეკომენდაცია და მითითებული იქნება ყველა გაბარიტული ზომა სარეკლმაო აბრების ზომების ჩათვლით

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.